სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

95471812204322

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221034000

რეგისტრაციის თარიღი

12.08.2022 წ

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია
მისამართი: ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
ტელეფონი: მობილური 599 19 64 09

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაორი წლის თორმეტ აგვისტოს მე, მერაბ ფარჯიკიას ნოტარიუსს ქ. თბილისში რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში, მომმართა შპს " ტეტრისი შინ"-ს დირექტორმა დავით ფანჯაკიძემ (თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საინდ. კოდი 204465131, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22079623, 27/06/2022 16:01:58) რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ლევან ბაგნიძეს (დაბადებული 07.08.1984წ. პირადი # 01002019473, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VIII მიკრორაიონი, კორპუსი 7, ბინა 125) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად დავით ფანჯაკიძემ (დაბადებული 01.11.1971წ. თბილისში, პირადი № 01023003478 მისამართი: თბილისი, მ. ჩახავას ქ. №4 ბინა 18) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მან დაადასტურა რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, წინამდებარე მინდობილობას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი სანოტარო ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

მინდობილობა

მე, შპს "ტეტრისი შინ"-ს (ს/ნ 204465131) დირექტორი დავით ფანჯაკიძე რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც „მიმნდობი", ლევან ბაგნიძეს, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მინდობილი", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

1) მე, შპს "ტეტრისი შინ"-ს (ს/ნ 204465131) დირექტორი დავით ფანჯაკიძე ვენდობი ლევან ბაგნიძეს მასზედ, რომ იგი იყოს, ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, წარუდგინოს ამ ორგანიზაციებს საპროექტო დოკუმენტაციები და მიიღოს შეთანხმებული პროექტები და მშენებლობის ნებართვები. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

- მასზედ რომ შპს "ტეტრისი შინ"-ს (ს/ნ 204465131) საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების პროექტის შეთანხმების და სხვა სახის არქიტექტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება, შეიტანოს განცხადებები, მიიღოს და /ან წარადგინოს საჭირო ინფორმაცია, ცნობა, დოკუმენტი, დაესწროს საქმის განხილვას, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის კორექტირება, წარმოადგინოს ფოტომონტაჟი, მიიღოს ნებართვები, გადაიხადოს გადასახადები. მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა მესამე პირთან, მათ შორის, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, იუსტიციის სახლთან, საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურთან, თუ მათ არქივებთან. ქ. თბილისის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან, მათ შორის თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან და ზედამხედველობის სამსახურთან, მათ შორის თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან და ზედამხედველობის სამსახურთან. ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, გამგეობაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, მიმართოს მათ საჭირო განცხადებებით, განცხადებებით თუ სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხები. წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, შეუკვეთოს და მარეგისტრირებელ ორგანოში სარეგისტრაციოდ წარადგინოს აზომვითი ნახაზები, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ვერსიის სახით, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს და შეასრულოს ნებისმიერი მოქმებედა ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად უძრავი ქონების გასხვისების უფლების გარეშე.

- წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე. მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. შეწყვეტა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

- აღნიშნული მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

- მინდობილობას თან ერთვის: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საინდ. კოდი 204465131, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22079623, 27/06/2022 16:01:58.

მიმნდობის შპს "ტეტრისი შინ"-ს (ს/ნ 204465131) დირექტორი დავით ფანჯაკიძე

დავით ფანჯაკიძე

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია